ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6295094

ნომერი: AR1942972

თარიღი : 05.01.2023

გაცემის თარიღი : 23.01.2023

გაცნობის თარიღი : 23.01.2023

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კახეთი , ხილბოსტნეულის ბაზის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი კირკიტაძე პ/ნ 01013012659
- თბილისი პეკინის გამზ. N 27

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- III კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“ თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

სამსახურში არსებული დოკუმენტაციის გამოკვლევისა და შესწავლის შედეგად დადგინდა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: №2768270 (19/08/2016წ.) ბრძანებით ქ. თბილისში, გზატკეცილი კახეთი, ხილბოსტნეულის ბაზის იმდებარედ (ს/კ 01.19.15.003.017) საზოგადოებრივი ფუნქციით,
დროებითი შენობა/ნაგებობის (მსუბუქი კონსტრუქციის) სწრაფი კვების ობიექტის – კაფეს განთავსების მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, რომელშიდაც 19/09/2018 წლის №3870354 ბრძანებით შევიდა ცვლილება და დაფიქსირდა "დროებითი შენობა/ნაგებობა (მსუბუქი კონსტრუქციის) სავაჭრო, საოფისე შენობა. (საჭიროების შემთხვევაში საკუთარი ხარჯებით დემონტაჟის განხორციელების პირობით)", 10/08/2022 ბრძნაება N6066643 შევიდა ცვლიელბა გაუქმდა დროებითი შენობის აშენების პირობა.

წინამდებარე განცხადებით განმცხადებელი ითხოვს №2768270 (19/08/2016წ.) და №3870354 (19/03/2018წ.) ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანას და ორსართულიანი ნაგებობის ნაცვლად სამსართულიანის დაფიქსირებას.

პასუხად გაცნობებთ, რომ შენობა-ნაგებობის სართულიანობის კორექტირება არ საჭიროებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს მიერ გაცემულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილებას.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.